Guria Fruits

სერტიფიცირებული ხილი

გურია გახლავთ რეგიონი, რომელიც დიდად არის დამოკიდებული სოფლის მეურნეობაზე, განსაკუთრებით კი ხეხილზე. აქ მოყვანილ პროდუქტებში შედის კივი, ფორთოხალი, ბროწეული, ქლიავი, მანდარინი და ლიმონი. გურიის ხილის სერტიფიცირებისა და ინკუბატორის წყალობით, ადგილობრივი მცირე მასშტაბის ფერმერები შეძლებენ შეინარჩუნონ თავიანთი უნიკალურობა აგრარულ მრეწველებად გადაქცევის გარეშე, და წვლილი შეიტანონ რეგიონის ეკონომიკურ განვითარებაში, რაც გურიას შეუნარჩუნებს განუყოფელ ადგილობრივ ცოცხალ ტრადიციებს.

გურიის ხილი იყიდება როგორც პირველადი, ასევე სხვადასხვა გადამუშავებული სახით, მაგალითად გამომშრალი,დაწურული წვენის თუ ფერმენტირებული ალკოჰოლის სახით. უფასო და ღია წვდომა პროექტის ფარგლებში შეძენილ აღჭურვილობასთან ფერმერებს აძლევს მეტ მოქნილობას, თავიანთი ბიზნესის გასამრავალფეროვნებლად და ასევე ხილის შესანახად.

პროექტი სახელწოდებით *გურიის ხილი* ხორციელდება პოლონეთში მდებარე ტარჩინისა და საქართველოში მდებარე ჩოხატაურის მუნიციპალიტეტების მიერ, მოსახლეობის მხრიდან ადგილობრივი განვითარების მხარდასაჭერად. ორივე მუნიციპალიტეტს გააჩნია მსგავსი დამახასიათებელი თავისებურებები და გამოწვევები: მრავალფეროვანი ხილის წარმოება, ხეხილის ბაღები, ყურადღების გამახვილება ტრადიციულ სახეობებზე და ადგილობრივი სასოფლო-სამეურნეო კულტურების მხარდაჭერა. პროექტის მიზანია წაახალისოს დარგთაშორისი თანამშრომლობა მუნიციპალიტეტებსა და აგრარულ ბიზნეს სექტორს შორის, რაც მხარდაჭერილია არასამთავრობო ორგანიზაციების მიერ.

პროექტს აქვს პრაქტიკული ხასიათიც და დაგეგმილია გრძელვადიანი თანამშრომლობის სახით. დაარსდა ადგილობრივი ხილის გადამამუშავებელი ინ- კუბატორი, რომელიც შეიქმნა და აღიჭურვა საერთო ხილის გადამამუშავებელი ინფრასტრუქტურით, რათა წაახალისოს ად- გილობრივი თანამშრომლობა და საზოგადოების განვითარება. აღნიშნული ინკუბატორი და- არსდა გურიის ხილის ბრენდის ქვეშ, რომელიც მართულია ად- გილობრივი არასამთავრობო ორგანიზაციის-გურული ვაზისა და ღვინის კლასტერის მიერ. შეიქმნა და წახალისებულია ხარისხის სერტიფიკატი და ხარისხიანი საკვების საერთო ბრენდირება ისევე, როგორც მიკვლევ-ვადობის საშუალებები.

პროექტი თანადაფინანსებულია პოლონეთის რესპუბლიკის საგარეო საქმეთა სამინისტროს მიერ, პოლონური დახმარება 2023-ის ფარგლებში.

დამატებითი ინფორმაციისთვის დაგვიკავშირდით მითითებულ მისამართზე:
info@guriafruits.ge

GMINA NATURALNIE ATRAKCYJNA

Polish aid